<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ორხევში, სერგეი ესენინის ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ვაჟა ბანეთიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, ორხევში, სერგეი ესენინის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ვაჟა ბანეთიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

გეგმარებითი (გრაფიკული) ნაწილი



ვაჟა ბანეთიშვილი

(1969-1992)

საქართველოს ერთიანობისთვის აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი, ლეიტენანტი, დეტექტიური საზოგადოება „დეტას“ ინსტრუქტორი, დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

სოფელ შრომასთან გამართულ ბრძოლაში გაანაგდურა მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები . სწორედ ამ ბრძოლაში დაიღუპა გმირულად.

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032217118**
თარიღი: **20/06/2022**

ქალბატონო ეთერ,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას, სოციალური ქსელის საშუალებით მომართა მოქალაქე ლალი ხოდელმა (ტელ 598807230) და ითხოვა მისამართის საკითხის მოწესრიგება ორხევში, სერგეი ესენინის ქუჩასთან.

საქმისწარმოების პროცესის შემდგომი გაგრძელების მიზნით გთხოვთ, უზრუნველყოთ დანართში მითითებული სერგეი ესენინის ქუჩის მონაკვეთის სიტუაციური ნახაზის გამოთხოვა მერიის შესაბამისი სამსახურიდან.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)